უჩა ზაქაშვილი

<u>განათლება</u>

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრთან გათანაბრებული.

<u>სამუშაო გამოცდილება</u>

- იგი არის ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის სრული პროფესორი, მაგისტრატურის საფეხურზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, შპს „კდ აკადემიის“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (NALAG) ტრენერი და კონსულტანტი სამშენებლო სამართალის მიმართულებით. 2024 წლიდან უძღვება სამშემენლო სამართლის სატრენინგო კურსებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისათვის. ახორციელებს სამშენებლო სამართლებრივ ზედამხედველობას/კონსულტირებას პროექტში „King David” და მისი ავსტრიული მესაკუთრე კომპანია Rezid Holding GmbH-ისთვის, ასევე მისი აფილირებული კომპანიებისთვის. იგი არის საქართელოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მენტორი ადვოკატი და განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში უძღვება სამშენებლო სამართლის მოდულს. არი სშპს „სამშენებლო სამართლებრივი ექსპერტიზის ცენტრის“ დამფუძვნებელი და ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგების ტრენერი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია ‘’სამართლიანი საზოგადოების’’ თანადამფუძნებელი და პროგრამების ხელმძღვანელი.

<u>დამატებითი ინფორმაცია</u>

- 2023 წელს AA Facility-ის ფარგლებში იყო მოწვეული ექსპერტი საქართველოს პარლამენტში და მონაწილეობდა სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის აღსრულების კონტროლის განხორციელებაში. მონაწილეობდა რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებისა და გადასინჯვა/კორექტირების პროცესში, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პროექტების ფარგლებში. იყო ა(ა)იპ „ურბანული კვლევების

ცენტრის“ კონსულტანტი/მკვლევარი პროექტის „Sustainable Urban Transport Investment Program – Project 1 – Preparation of Sustainable Urban Mobility Plan Contract No. SUTIP/C/QCBS/07-2018“ ფარგლებში; იკავებდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მშენებლობის მაკონტროლებელ ორგანოში, მათ შორის, იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართალდარღვევის საქმისწარმოების განყოფილების და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ საქმეთა სამმართველოს უფროსი; შპს „კავკასუს ონლაინის“ იურისტი სამშენებლო სამართალდარღვევების მიმართულებით; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თანათავმჯდომარე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის, საქართელოს ადვოკატთა ასოციაციისა და ურიდიული დახმარების ცენტრის ტრენერი სამშენებლო სამართალში.

- ადვოკატთა ასოციაციის და ევროსაბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში გავლილი აქვს ტრენერთა ტრენინგები და არის სამშენებლო სამართლის ონლაინ მოდულის ავტორი; საქართველოს სივრცითი მოწყობის, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის პროექტზე მომუშავე ექსპერტების ჯგუფის წევრი, კონსულტანტი; ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში: “Partnership for Good Governance” (PGG II) - კონსულტანტი და ტრენერი „სამშენებლო სამართლის“ ელექტრონული სასწავლო კურსის დაგეგმვის და განხორციელების საკითხებში.
- უჩა ზაქაშვილი ეწევა აქტიურ აკადემიურ საქმიანობას სამშენებლო სამართლის პრაქტიკულ და აქტუალურ თემებზე. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ და პოლონურ სამეცნიერო პერიოდიკაში.